Sixteen Plus Forum

Sixteen Plus Forum

პრეს-რელიზი

მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოება

მდგრადი განვითარების მ1-16 მიზნის განხორციელება საერთაშორისო ფორუმის ყურადღების ცენტრში

თბილისი. 31 ოქტომბერი 2017 – **ოცდახუთი ქვეყნის 150-ზე მეტი წარმომადგენელი შეიკრიბა თბილისში მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობის მისაღებად. ფორუმის „16+: სიტყვებიდან საქმისკენ“ მიზანია მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის (მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოება) განხორციელების პროცესში დაგროვებული გამოცდილებისა და მიღწეული წარმატების გაზიარება.**

„საქართველოსათვის დიდი პატივია ამ მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეხვედრის მასპინძლობა. წელს 25 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდა. ამ ხნის მანძილზე, საქართველო გარდაიქმნა გაეროს ჰუმანიტარული დახმარების მიმღები ქვეყნიდან სანიმუშო სახელმწიფოდ, რომელიც წელს ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) თავმჯდომარეობას იკისრებს. ბოლო ათი წლის მანძილზე საქართველომ ხელშესახებ წინსვლას მიაღწია ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის საქმეში, ისევე როგორც თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების, თავისუფალი მედიის, თავისუფალი ბაზრისა და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებში. მდგრადი განვითარების გლობალური დღის წესრიგი შესაძლებლობას გვაძლევს კიდევ უფრო გავამყაროთ ეს მიღწევები, ჩვენი წარმატება სხვა ქვეყნებსაც გავუზიაროთ და ერთმანეთის გამოცდილებაზე დაყრდნობით მეტს მივაღწიოთ“, - განაცხადა **საქართველოს ვიცე-პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა - მიხეილ ჯანელიძემ**, ფორუმის გახსნაზე.

გაეროს მუდმივმა კოორდინატორმა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში - ნილს სკოტმა, ხაზი გაუსვა საერთაშორისო პარტნიორობის მნიშვნელობას მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

“გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და გაეროს განვითარების პროგრამა მსოფლიოს სახელმწიფოებს დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებაში და მშვიდობის შენარჩუნებაში ეხმარებიან. ჩვენი ხელშეწყობის შედეგად იზრდება მთავრობის შესაძლებლობები, ეფექტურად ემსახუროს თავის ხალხს და სამოქალაქო ჩართულობა უზრუნველყოს,“ - თქვა მან.

საკონტაქტო ინფორმაცია

სოფო ჭიჭინაძე
UNDP საქართველო
+995 599 196907,
sophie.tchitchinadze@undp.org

ირინა სულავა
UNDP საქართველო
+995 599 579105
irine.sulava@undp.org

მერი მახარაშვილი
IDFI
+995 599 500137
m.makharashvili@idfi.ge

ვები და სოციალური მედია

#16plusGeorgia

www.wfuna.org/sixteenplusforum
www.ge.undp.org
www.fb.com/UNDPGeorgia
www.instagram.com/undpgeorgia
@UNDPGeorgia
www.idfi.ge
www.fb.com/IDFI.official
@IDFIGeorgia

სამდღიანი ფორუმის მსვლელობაში გაიმართება ექვსი პლენარული სესია, რომლებიც მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის ძირითად საკითხებს - მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას დაეთმობა. ფორუმის მონაწილეები იმსჯელებენ საუკეთესო პოლიტიკასა და პრაქტიკაზე მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის მიღწევის საქმეში და მსოფლიოს ქვეყნების წარმატებებსა და გამოწვევებზე კარგი მმართველობის, კანონის უზენაესობის, კორუფციასთან ბრძოლის, სახელმწიფო სერვისებში ინოვაციის დანერგვის, კონფლიქტების მოგვარებისა და მდგრადი მშვიდობის შენარჩუნების საკითხებში.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ღია მმართველობის პარტნიორობას (OGP) და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას ეროვნული განვითარების საკითხებში. ფორუმის მონაწილეები განიხილავენ საქართველოს, როგორც ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) თავმჯდომარე ქვეყნის, გამოცდილებას და იმსჯელებენ მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისობაზე ღია მმართველობის პრინციპებთან.

ფორუმის მონაწილეები ასევე მოინახულებენ თბილისის იუსტიციის სახლს და საქართველოს საბჭოს, შეხვდებიან მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

თბილისის ფორუმი პირველია 16+ ფორუმების რიგში, რომლებშიც მონაწილეობენ საქართველო და რვა წევრი ქვეყანა, g7+ გაერთიანების სახელმწიფოები, გაეროს ასოციაციების მსოფლიო ფედერაცია (WFUNA) და მისი სამდივნო.

„16+ ფორუმის სახელით მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს პარტნიორებს. განსაკუთრებით დასაფასებელია საქართველოს წვლილი, როგორც ფორუმის მასპინძელი ქვეყნის და მსოფლიო ლიდერის მდგრადი განვითარების მ-16 მიზნის მიღწევის საქმეში“, - განაცხადა **ბონიან გოლმოჰამადიმ, გაეროს ასოციაციების მსოფლიო ფედერაციის (WFUNA) გენდერალურმა მდივანმა**.

ფორუმის „16+: სიტყვებიდან საქმისკენ“ ორგანიზატორები არიან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და საქართველოს საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები, გაეროს ასოციაციების მსოფლიო ფედერაციასთან (WFUNA) თანამშრომლობით. ფორუმის თანაორგანიზატორები და მხარდამჭერები არიან: კორეის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, შვედეთის მთავრობა, ყატარის საგარეო საქმეთა სამინისტრო, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ავსტრიის განვითარების სააგენტო, Tetra Tech ARD, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და საქართველოს გაეროს ასოციაცია.

ფორუმი 16+ დაარსდა ნიუ იორკში, აშშ, 2016 წელს.